პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 158 (5188)

1974 წ. 11 აგვისტო, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## რეკორდი

მოსკოვი, 10 აგვისტო. [illegible] ლოსნო სპორტის სასახლის აუზში ფიზკულტურელის [illegible] დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრების დროს საბჭოთა ნაკრების წევრებმა სსრ კავშირის ორი რეკორდი დაამყარეს. ჯერ თავი გამოიჩინეს თ. შელოფასტოვამ, მ. კლიუჩნიკოვამ, ლ. [illegible]იომკინამ და ლ. კობზოვამ 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში — 4.06,3. მერე ნადეჟდა სტავკომ 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში 2.26,15 აჩვენა.

# თბილისი — დიდი სარბიელი



ფიზკულტურელის დღე ჩვენს დედაქალაქში





## მეტრეველი, კაკულია და მათი მეგობრები

ვროცლავი, 9 აგვისტო. ევროპის მოყვარულ ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ჩემპიონატი დიდძალ მაყურებელს იზიდავს. ბრძოლების უმეტესობა მეტად საინტერესო და დაძაბულია. გამოვლინდნენ მეოთხედფინალისტები ერთეულ თ ა თანრიგებში. 8 საუკეთესო ქალს შორის ვხვდებით მოსკოველებს მოროზოვას, ჩმირიოვას, კიეველ კროშინას, ვაჟთა შორის კი — თბილისელებს მეტრეველსა და კაკულიას.

უნდა აღინიშნოს, რომ მოროზოვას იოლად როდი ხვდა მეოთხედფინალის საგზური. მან მხოლოდ მწვავე ორთაბრძოლის შემდეგ სძლია ბულგარელ ჩოგბურთელს ბარბერიანს — 3:6, 6:3, 6:2.

მერვედფინალურ შეხვედრაში მოსკოველმა კოროტკოვმა მარცხის სიმწარე იწვნია — ანგარიშით 3:6, 2:6 წააგო მატჩი ცნობილ უნგრელ ჩოგბურთელთან ტაროცისთან.

დაიწყო წყვილთა შეხვედრებიც. მოროზოვა — მეტრეველის დუეტმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები ტომანოვა და შიმბერი — 6:2, 6:4.

### ფეხბურთი



სსრ კავშირის თასი

## გუშინ...

მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამო" და ვოროშილოვგრადის „ზარია". გაიმარჯვეს კიეველებმა — 3:0. ბურთები გაიტანეს მუნტიანმა (92-ე წთ.), ბლოხინმა (102) და ონიშჩენკომ (118).

## ჩვენი ქომაგი [illegible]

### რაიონის ფიზკულტურული ორწლედი

უკვე ექვსი თვეა მოქმედებს მოლდავეთის რესპუბლიკის კოტოვსკის რაიონის სოფლის მშრომელთა შორის მშდ კომპლექსის დანერგვის ორწლიანი გეგმა. ამ ფიზკულტურული პროგრამის ერთ-ერთი პუნქტით გათვალისწინებულია ხუთწლედის ბოლომდე ყოველ ფერმაში და ბრიგადაში მშდ კომპლექსის მარტივი სარბიელების შექმნა. და აი, რაიონში მწყობრში ჩადგა 20-ზე მეტი ასეთი კომპლექსი. გრძელდება წყალსაცავების კეთილმოწყობა ცურვაში ნორმატივების ჩაბარების მსურველთათვის. აიგო ორი ტირი, რეკონსტრუირებულია 9 სასოფლო სტადიონი.

ამ დღეებში რაიონის სპორტულ მოედნებზე მოეწყო ფიზკულტურელის დღისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები.

ვარაუდობენ, რომ წლეულს ფიზკულტურასა და სპორტში ჩაბმული იქნება მოსახლეობის მესამედი, ხოლო 1975 წლის დამლევისთვის — ნახევარი. წარმატებით ხორციელდება საზოგადოებრივი ინსტრუქტორებისა და მსაჯების მომზადების გეგმა.

მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ენთუზიასტთა გამოცდილება და რეკომენდაცია მისცა მას ფართოდ და ღრმად შესასწავლად.

ვ. ნოვოსადიუკი.

კიშინიოვი.

### „არმანი"

„არმანი" („ოცნება") — ასე ჰქვია სარბენ ბილიკების, სპორტულ თამაშობათა მოედნებისა და ფეხბურთის მინდვრების ელასტიკურ სინთეზურ საფარს, რომლისთვისაც მასალა ყაზახეთის დედაქალაქის სპეციალისტთა ჯგუფმა შექმნა. ამ საფარს არც 40-გრადუსიანი სიცხისა ეშინია, არც დიდი ყინვისა. „არმანს" გამოიყენებენ სპორტული მოედნების მშენებლობებზე უდაბნოს რაიონებში, კასპიის ზღვასა და მდინარე ირტიშს შორის მდებარე ტერიტორიაზე, სადაც ბოლო წლებში შეიქმნა ასამდე ახალი დასახლებული პუნქტი, მათ შორის — 9 ქალაქი.

ვ. განჟა.

ალმა-ათა.

## [illegible] გაზეთი [illegible] იყო... 19.45

◆ დელი, 10 აგვისტო. დევისის თასის გათამაშების საზონათშორისო ნახევარფინალური შეხვედრა სსრ კავშირისა და ინდოეთის გუნდებს შორის შედგება არა დელიში, როგორც აქამდე იყო გამოცხადებული, არამედ პუნაში (მახარაშტრას შტატი). ადგილის შეცვლის გადაწყვეტილება გამოიწვია ინდოეთის დედაქალაქში ბალახის კორტების უქონლობამ. ეს განაცხადა დღეს ინდოეთის ჩოგბურთის ასოციაციის მდივანმა რ. კ. ხანამ.

## [illegible]-74

● ფხენიანი, 8 აგვისტო. აქ დიდი ინტერესი გამოიწვია სოციალისტური სახელმწიფოების ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებამ. მრავალჭიდში გაიმარჯვეს იეევსკელმა მ. ოსტანინამ (37,5 ქულა) და ლენინგრადელმა ა. დიტიატინმა (55,4). დიტიატინმა შემდეგ მცირე ოქროს მედალი მიიღო ორძელზე ვარჯიშში. ძელზე ბადალი არ ჰყავდა გროზნოელ ვ. ტიხონოვს. ჩელიაბინსკელმა ელენა პრიმაკმა, რომელსაც მრავალჭიდში ორძელზე მოეცარა ხელი, შემდეგ 2 მცირე ოქროს მედალი მოიპოვა დგირზე და თავისუფალ ვარჯიშში. გუნდურ შეჯიბრებაში საბჭოთა ტანმოვარჯიშეები არ მონაწილეობდნენ. აქ წარმატებას მიაღწიეს რუმინელმა გოგონებმა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ვაჟუკებმა.

● მოსკოვი, 10 აგვისტო. დღეს დამთავრდა რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის" პრიზზე. მთავარი ჯილდო მოიპოვა სსრ კავშირის კლუბების ნაკრებმა, რომელმაც ბოლო, გადამწყვეტი მატჩი ფრედ (7:7) დაამთავრა მოსკოვის კლუბების ნაკრებთან. II ადგილზე გავიდნენ მოსკოველები. III ადგილი დაიკავა რუმინულმა კლუბმა „გრივიცა როშიემ". მომდევნო ადგილებზე გავიდნენ „ნადა" (იუგოსლავია), პრაღის კლუბების ნაკრები და პოლონეთის „სკრა".







გუშინწინ თბილისმა ზეიმით აღნიშნა ფიზკულტურელის საკავშირო დღე. ქალაქი ვეებერთელა სტადიონს ჰგავდა — სხვადასხვა უბანში ჩატარდა მძლეოსნური ესტაფეტები, კროსები, „ლოკომოტივის" სტადიონზე დაიწყო საქართველოს I ჩემპიონატი მშდ კომპლექსის მრავალჭიდში...

საინტერესო სანახავი იყო თბილისის ზღვისა და ლისის ტბის მიდამოებიც, ლენინის სახელობის სტადიონი და სხვა სპორტული ბაზები.

დინამოელთა მძლეოსნურ ესტაფეტაში 10 კოლექტივი მონაწილეობდა. ტრასა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიჰყვებოდა და „დინამოს" საჩოგბურთო სტადიონთან მთავრდებოდა. საუცხოო მომზადება გამოავლინეს სასაზღვრო ჯარების სამმართველოს ფიზკულტურელებმა. ისინი დამაჯერებლად ლიდერობდნენ თორმეტივე ეტაპზე და ფინიშთანაც პირველნი მიიჭრნენ. გამარჯვებული კოლექტივის ღირსებას ბოლო ეტაპზე ვ. ლიუენკოვი იცავდა.

„ლოკომოტივის" სტადიონის სარბიელზე მშდ-ს მრავალჭიდში ასპარეზობდნენ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, მაიაკოვსკის, აფხაზეთის, აჭარისა და სხვა გუნდები. ბურთის სროლაში თავი გამოიჩინა მაიაკოვსკელმა ე. გორგაძემ, ხელყუმბარის მტყორცნელ გოგონათა შორის კი უძლიერესი იყო სოხუმელი კ. გუმბა.

თბილისელმა მშრომელებმა, მოსწავლე და სტუდენტმა ახალგაზრდობამ, ვაჟუკებმა და ქალიშვილებმა მხიარულად გაატარეს დასვენების დღე და ზარლისით აღნიშნეს საყვარელი ზეიმი — ფიზკულტურელის საკავშირო დღე.

ც. ფხაკაძე.

* * *

სურათებზე: ზევით მარცხნიდან — დინამოელთა ესტაფეტის სტარტი; ერთ-ერთ ეტაპზე; ვ. ლიუენკოვი ფინიშთან; ქვევით — კ. გუმბა ასპარეზობისას; მარშვარბენის მომენტი; ე. გორგაძე შეჯიბრების დროს.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

# ფიზკულტურას ყველა ასაკი ემონება

10 აგვისტოს ზეიმით აღინიშნა ფიზკულტურელის საკავშირო დღე. უკვე თავისთავად სახელწოდება გვეუბნება, რომ ესაა არა მარტო ცნობილი ოსტატების, რეკორდსმენებისა და ჩემპიონების, არამედ მილიონობით საბჭოთა ადამიანის — მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების, სტუდენტების, მოსწავლეების, მასობრივი სპორტის წარმომადგენლების ზეიმი. ამჟამად სწორედ ისინი უტევენ მშდ კომპლექსის საფეხურებს, სტარტს იღებენ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის შეჯიბრებებში.

დღესასწაულის წინ საკდესის კორესპონდენტმა ი. ხრომოვმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის მთავარი სამმართველოს უფროსს ლ. ივანოვს.

● **რა მაჩვენებლებით შეხვდნენ საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურელები თავიანთს დღესასწაულს?**

— ამჟამად ქვეყნის ფიზკულტურული ორგანიზაციის საქმიანობის მთავარ მიმართულებას განსაზღვრავს ფართო, ყოველდღიური მუშაობა მშდ კომპლექსის დასანერგად, აგრეთვე, სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა, რომელიც ეძღვნება სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს და ტარდება დევიზით: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის".

სტატისტიკა მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურა და სპორტი სულ უფრო პოპულარული ხდება. მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა რიგებში უკვე 20 მილიონი ადამიანია გაერთიანებული. ნორმატივების ჩასაბარებლად 51 მილიონზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. ბოლო ხანს ფიზკულტურელთა რაზმს 2,6 მილიონი კაცი შეემატა. შეიქმნა 4,2 ათასი ახალი ფიზკულტურული კოლექტივი და ახლა მათი რიცხვი 216 ათასს აღწევს.

გვახარებს პირველი „სასპარტაკიადო" ციფრები. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, რომლის ფინალიც ალმა-ათაში მოეწყო, 28 მილიონი ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა. 2 მილიონი ფიზკულტურელი გამოვიდა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სპარტაკიადის სტარტებზე. ყველა ეს შეჯიბრება საკავშირო სპარტაკიადის შემადგენელი ნაწილია.

● **რამდენ შთამაგონებელიც უნდა იყოს თქვენს მიერ მოყვანილი ციფრები, ჩემი აზრით, ეს ზღვარი არ არის. თქვენ რას გვეტყვით?**

— არა, რა თქმა უნდა. აი, ერთი მაგალითი: ზემოთ დასახელებული ციფრი — 51 მილიონი ადამიანი შეესაბამება მხოლოდ 10-დან 60 წლის ასაკის მოსახლეობის 31 პროცენტს. ეს კი ჩვენი მუშაობის დიდ პერსპექტივებზე მეტყველებს. კომუნისტურმა პარტიამ მთელს ფიზკულტურულ მოძრაობას დაუსახა სავსებით კონკრეტული ამოცანა — ფიზკულტურისა და სპორტის დანერგვა საბჭოთა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ლაპარაკია ახალი, ჰარმონიულად განვითარებული, მორალურად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანის აღზრდაზე. ამაზე საპატიო, კეთილშობილური ამოცანა არ არსებობს.

● **როგორ აღნიშნეს საბჭოთა ქვეყნის ფიზკულტურელებმა თავიანთი დღესასწაული?**

— 10 აგვისტოს მრავალ ათას სტადიონზე მოეწყო ლამაზი სპორტული დღესასწაულები. ამ დღეს დაუკავშირდა ძალიან ბევრი სხვადასხვა შეჯიბრება. მაგალითად, მოსკოვში, ყაზახეთში, საქართველოში, ტაჯიკეთში, ლიტვაში დაიწყო ფინალური რესპუბლიკური შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, არტეკში, სადაც პიონერთა გაჯანსაღების დიდი კერა გვაქვს, სტარტი აიღეს ამ ტურნირის ყველაზე ნორჩმა მონაწილეებმა — 10-14 წლის ბავშვებმა, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებმა. ისინი ასპარეზობენ კომპლექსის პირველი საფეხურის („მამაცნი და მოქნილნი") პროგრამით. ფიზკულტურელის დღეს დედაქალაქში ჩატარდა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალური მატჩი, რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრა და ასე შემდეგ. ყველა შეჯიბრებას, რა თქმა უნდა, აქ ვერ ჩამოვთვლი.

● **რა მდგომარეობაა ამჟამად სპორტული ბაზების მხრივ?**

— ფიზკულტურელთა რიგების ზრდა და მშდ კომპლექსის დანერგვისთვის მუშაობის სულ უფრო გაფართოება წარმოუდგენელია სპორტული ბაზების რიცხვის სწრაფი ზრდის გარეშე. მარტო შარშან მწყობრში ჩადგა 64 სტადიონი, 3800-ზე მეტი სპორტდარბაზი, 122 საცურაო აუზი, 21 ათასამდე უმარტივესი სპორტული მოედანი. ქვეყნის ყველა ბაზას ერთდროულად 25 მილიონი ადამიანის მიღება შეუძლია.

მინდა აღვნიშნო გამოცდილება მოლდავეთის ჩადირ-ლუნგის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სპორტული კოლექტივისა, სადაც მოკლე ხანში აიგო მშდ კომპლექსის სპეციალური სარბიელები მემინდვრეობის ბრიგადებში, საცურაო აუზი, ტირი. ეს გახლავთ ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა წარვმართოთ მუშაობა სოფლად. გადასაჭრელია სტადიონებსა და სამუშაო თუ საცხოვრებელ ადგილებს შორის მანძილის შემცირების პრობლემა, რათა ახალგაზრდებს სპორტისა და ფიზკულტურისკენ გზის გაკაფვა გავუადვილოთ. რაც შეეხება უმარტივეს სპორტულ მოედნებს, აქ ბევრი რამ დამოკიდებულია ახალგაზრდობის თაოსნობაზე. ასეთი მოედნების მოწყობა სულ ადვილად შეიძლება, თუ გული გულობს.

● **რას გვეტყოდით ფიზკულტურული მუშაობის ახალი საინტერესო ფორმების შესახებ?**

— სიახლე, პირველ ყოვლისა, იგრძნობა იქ, სადაც ბრძოლას უცხადებენ ფორმალიზმს, უფერულობას, სადაც გატაცებით, გულით მუშაობენ. ავიღოთ, მაგალითად, ქალაქი ნოვაია კახოვკა, სადაც ფიზკულტურის განვითარებისთვის ზრუნვა პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარედ იქცა. ამ ქალაქში ყოველი სამშაბათი ჯანმრთელობის დღედაა გამოცხადებული. ხალხი სამშაბათობით შინ კი არ მიიჩქარის, არამედ ორგანიზებულად მიემურება სტადიონებისკენ. იქ ემზადებიან და აბარებენ მშდ კომპლექსის ნორმატივებს, მონაწილეობენ სპარტაკიადის შეჯიბრებებში. დევიზით „ფიზკულტურა ხუთწლედის სამსახურში" ტარდება მასობრივი შეჯიბრებები ჩელიაბინსკში, ხარკოვში, მინსკში. სხვათა შორის, სოციოლოგიური გამოკვლევები მოწმობს, რომ ფიზკულტურელთა შრომისნაყოფიერება გაცილებით მაღალია.

სპორტი მტკიცედ დამკვიდრდა ბევრ საბჭოთა ოჯახში. ბევრ ქალაქში ტარდება სპორტული ოჯახების შეჯიბრებები. ავიღოთ, მაგალითად, შეჯიბრება „დედა, მამა და მე". აქ ლაპარაკია უკვე თაობათა ესტაფეტაზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ფიზკულტურის სიყვარული ადრეული წლებიდანვე ჩავუნერგოთ, მშობლების მაგალითი კი ამ მიზნით ყველაზე უკეთესი აგიტაციაა. ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირში ფიზკულტურას მართლაც ყველა ასაკი ემონება.

# მხოლოდ ასე: ყოველდღიური, გულმოდგინე, შეუპოვარი მუშაობა

მოსწავლეთა XIII საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით მოცურავე გოგონები ხარკოვში ასპარეზობდნენ, ხოლო ჭაბუკები — ერევანში.

ხარკოვის „დინამოს" აუზში ექვსი დღის განმავლობაში შეუპოვარი ბრძოლა იყო გაჩაღებული. მძაფრი მეტოქეობის პირობებში საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრმა გოგონებმა 86,5 ქულა დააგროვეს, VII ადგილი დაიკავეს და ოთხი აბსოლუტური რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს. მათ ეკუთვნით ერთი რეკორდი გოგონებისთვისაც.

ჩვენი გუნდის წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის ლ. სუინას, რომელმაც 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში საქართველოს რეკორდი დაამყარა გოგონებისთვის (1.10,6) და X ადგილი დაიკავა. სუინამ IV ადგილი დაიკავა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.32,8) და XII — ამავე სტილით 400-მეტრიან მანძილზე შეჯიბრებაში. ამით მან გუნდს 36 ქულა მისცა.

კარგად იასპარეზა 13 წლის გოგონამ ი. პოტაპოვამ, რომელმაც მაღალ შედეგებს მიაღწია თავისუფალი სტილით ცურვაში. იგი სამჯერ გამოვიდა სტარტზე და სამივეჯერ საქართველოს აბსოლუტური რეკორდი დაამყარა. 200 მეტრზე ახალი მიღწევაა 2.19,3 (XIV ადგილი), 400 მეტრზე — 4.51,5 (XII), 800 მეტრზე — 9.52,0 (IX ადგილი). ამ შედეგებით სპორტსმენმა საერთო გუნდურ მაჩვენებელს 19 ქულა დაუმატა.

სუინა, პოტაპოვა, გ. მეტრეველი და ნ. გელაძე წარმატებით გამოვიდნენ 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაშიც. ერთად მათ კიდევ ერთი აბსოლუტური რეკორდი დაამყარეს — 4.27,8.

აღსანიშნავია ნ. გამილაღდიშვილის, მეტრეველის, დ. ხორავას, შ. გოზალიანის გამოსვლები. ამ სპორტსმენებმა თავიანთ საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს.

სპეციალისტები დიდ იმედს ამყარებდნენ ვ. პროსკურინაზე, მაგრამ მან უხეიროდ იასპარეზა. 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში მისი შედეგია 1.16,7. ასევე სუსტად გამოვიდა იგი ესტაფეტაშიც, რამაც, ცხადია, გუნდის საერთო შედეგებზე იმოქმედა.

ერევანში მოასპარეზე ჭაბუკებს 36-გრადუსიანი სიცხე დახვდათ, რამაც ერთგვარად შედეგებზეც მოახდინა გავლენა. მიუხედავად ამისა, ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა დადებითად უნდა შევაფასოთ. აქ გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო 1959-60 წლებში დაბადებული ჭაბუკებით, ხოლო შეჯიბრება მოუხდა 1956-58 წლებში დაბადებულებთან. ჩვენებმა 91,25 ქულა დააგროვეს და XI ადგილი დაიკავეს. ამასთან, ჭაბუკთა ხუთი რესპუბლიკური რეკორდიც დაამყარეს.

ორი რეკორდი დაამყარა გ. ნიკოლაიშვილმა 100 და 200 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — 1.03,8 და 2.19,7.

ა. ვეჩხაიზერმა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 57,6 წამი აჩვენა (XII-XIII ადგილები), ხოლო ამავე დისტანციაზე გულაღმა შეჯიბრებაში — 1.04,2 (IV-VII). ამან გუნდს 18,75 ქულა მიუმატა.

გუნდს 17 ქულა მისცა ი. კუშპელიოვმა. იგი მეთერთმეტე იყო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (4.23,1), დაამყარა ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდი და მერვე აღმოჩნდა 1500-მეტრიან დისტანციაზე — 17.22,7.

უნდა აღინიშნოს ვ. ბურმისტროვის გამოსვლა. ეს სპორტსმენი სავსებით ჯერ კიდევ ვერ განიკურნა ავადმყოფობის შემდეგ, მაგრამ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 5.07,1 აჩვენა და გუნდს 5 ქულა შესძინა.

საუკეთესო პირადი შედეგები აჩვენეს ვ. საიმ, ვ. კოველსკიმ, ს. შირინიანმა, ი. ლეკვეიშვილმა. შესაძლებლობები ვერ გამოავლინეს ვ. ლუგინმა, გ. შერმანდინმა, ს. ხედელკომ, ა. თევზაძემ.

ჭაბუკთა კიდევ ორი რეკორდი დაამყარეს ჩვენმა მოსწავლეებმა 4×200 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში და კომბინირებულ ესტაფეტაში. 4×200 მეტრზე რეკორდსმენები გახდნენ კოველსკი, საი, გ. მთვრალაშვილი და კუშპელიოვი (8.41,7). მეორე რეკორდი ეკუთვნით ვეჩხაიზერს, ლეკვეიშვილს, ნიკოლაიშვილსა და ა. გიორგაძეს (4.20,5).

ხარკოვისა და ერევნის ასპარეზობათა შედეგებით ჩვენმა ნაკრებმა 177,75 ქულა დააგროვა და X ადგილი დაიკავა.

თუ წლევანდელ სპარტაკიადას წინა ასეთსავე შეჯიბრებას შევადარებთ, სადაც ჩვენებმა ვერც ერთი ქულა ვერ მიიღეს, მაშინ საქართველოს მოცურავეთა ნაკრების შედეგები დამაკმაყოფილებლად უნდა მივიჩნიოთ. მაგრამ მიღწეულს არ შეიძლება დავჯერდეთ, მით უმეტეს, რომ წლევანდელი ნაკრების თითქმის მთელი შემადგენლობა მონაწილეობას მიიღებს მოსწავლეთა 1976 წლის სპარტაკიადაში. თუ სპორტსმენები და მწვრთნელები სერიოზულად მოეკიდებიან საქმეს, ეჭვი არ არის, რომ მომავალ შეჯიბრებაში უფრო მაღალ საფეხურს დავიკავებთ. ამ საკითხზე დაფიქრება გვმართებს. მაგალითად, ჭაბუკთა გუნდს ძალიან შეუშალა ხელი წარმატებაში ი. ომელჩენკომ, რომელმაც ერევანში შეკრებაზე დისციპლინა დაარღვია და სასპარეზოდ აღარ დაუშვეს, მისი შეცვლა კი უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჭაბუკები შეიძლება უკეთ გამოსულიყვნენ, ჩვენი რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ერთ-ერთი უძლიერესი მოცურავე ს. სტიოგანცევი ავად რომ არ ყოფილიყო. ამ მიზეზით მან შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღო.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქალთა ცურვის გეოგრაფია ჩვენს რესპუბლიკაში გაფართოვდა. ამასთან, საგრძნობლად იმატა გოგონათა შედეგებმაც. ამას მრავალმხრივ შეუწყო ხელი მწვრთნელთა კოლექტივის ნაყოფიერმა მუშაობამ გაგრასა და ბიჭვინთაში.

თუ გასულ წლებში ნაკრებში უმეტესად თბილისელი მოცურავეები იყვნენ, ახლა გუნდში 30 წევრიდან ერთ მესამედს სხვა ქალაქების წარმომადგენლები შეადგენენ. ეს ყველაფერი გვაძლევს იმედს, რომ ცურვა საქართველოში სულ უფრო მეტად განვითარდება.

ასპარეზობა დამთავრდა. წინაა კიდევ უფრო საპასუხისმგებლო სტარტები — სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა. ხარკოვისა და ერევნის შეჯიბრებების მონაწილეთაგან ბევრი გამოვა ამ დიდ შეჯიბრებაში. ეჭვი არ არის, ყველა ეცდება წარმატებით დაიცვას ჩვენი რესპუბლიკის ღირსება, ამისთვის კი საჭიროა ყოველდღიური, გულმოდგინე, შეუპოვარი მუშაობა.

**ლ. იოაკიმიდი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი ცურვაში.

[illegible]

## როგორ გამოვიდნენ საქართველოს მშვილდოსნები?

ჩვენ ვწერდით, რომ ტალინში გაიმართა საბჭოთა კავშირის საუწყებო პირად-გუნდური ჩემპიონატი მშვილდოსნობაში. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდებში საქართველოს ექვსი სპორტსმენი გამოდიოდა. გაგაცნობთ მათს შედეგებს.

ქალთა შორის ევროპისა და სსრ კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ქ. ლოსაბერიძემ „მ-2" ვარჯიშის ჯამში 2262 ქულა მოაგროვა და XIV ადგილს დასჯერდა. ასევე თბილისელი, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ლ. ასატუროვასორდია 2255 ქულით XVII ადგილზეა. ქუთაისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. რიჟამაძემ 2159 ქულის მოგროვება შეძლო (მე-40 ადგილი), ხოლო თბილისელმა მოსწავლემ, სპორტის ოსტატმა მ. გოდერძიშვილმა 2099 ქულით 47-ე ადგილი დაიკავა (ასპარეზობაში 70 სპორტსმენი მონაწილეობდა).

ვაჟთა შეჯიბრებაში საქართველოდან ორი სპორტის ოსტატი მონაწილეობდა: გ. არჩვაძე და ვ. ტროპინი. არჩვაძემ 2178 ქულით 33-ე ადგილი დაიკავა, ტროპინი კი 2089 ქულით 53-ე ადგილს დასჯერდა. საქართველოს სპორტსმენებმა, ტროპინის გარდა, სპორტის ოსტატობა დაამტკიცეს.

ზემოთ დასახელებული შედეგების მიუხედავად, უნდა ვივარაუდოთ, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის საკმაოდ ძლიერი ქალთა გუნდი გვეყოლება. ოღონდ საჭიროა მათი უმაღლესი ხარისხის მშვილდებითა და ისრებით უზრუნველყოფა, ნაკრებისთვის კარგი მწვრთნელის გამოძებნა და რეგულარული ვარჯიში.



როგორც ვიუწყებოდით, ზაჰესის მიდამოებში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი სანიჩბოსნო სლალომში. ამ შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა თბილისელი ს. ციცქიშვილი („შრომითი რეზერვები"). ერთადგილიანი ბაიდარებით ასპარეზობაში მან ორივე ცდაზე აჯობა ყველას და 454 საჯარიმო ქულით რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა.

სურათზე: ს. ციცქიშვილი შეჯიბრების დროს.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

## თხილამურებით ლენინის პიკის მწვერვალიდან...

ხუთ დღეს გრძელდებოდა ასვლა 25-წუთიანი დაშვებისთვის. ეს „მოგზაურობა" ავსტრიელმა სპორტსმენებმა იგნაც გრუბერმა და ალფრედ შიონმა განახორციელეს ლენინის პიკის ფერდობებზე.

7134 მეტრ სიმაღლეზე ასვლაში ავსტრიელებს უამინდობამ შეუშალა ხელი. 6800 მეტრს რომ მიაღწიეს, მათ თხილამურები მოირგეს და დაბლა დაეშვნენ — მარადიული თოვლის ქვედა საფეხურისკენ, 4200 მეტრ სიმაღლეზე.

— ეს მეორე შედეგია ლენინის პიკის ფერდობებზე თხილამურებით დაშვებათა ისტორიაში, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. რაცეკმა. — ხუთი წლის წინათ, 1969 წლის აგვისტოში, ლენინგრადელი სპორტსმენები კონსტანტინე და ბორის კლეცკოები თხილამურებით დაეშვნენ პიკის უმაღლესი წერტილიდან — 7134 მეტრიდან.

ეს ადასტურებს შეხედულებას, რომ „შვიდიათასიანის" ფერდობები შეიძლება იქცეს სკოლად სპორტის ახალი სახეობისთვის — თხილამურებით სასიმაღლო დაშვებისთვის.

(საკდესის კორ.).

ტაშკენტი.

# „ხევის პატარძალი“



**ყაზბეგი.** მკითხველო, პირველ ყოვლისა რა დაგიდგება თვალწინ ამ სახელის გაგონებისას? რა თქმა უნდა, „ხევის პატარძალი“ — მყინვარწვერი.

... მყინვარწვერი, განზე გამდგარი, ცადაჭრილი მყინვარწვერი. იგი ყველაზე მაღალია თავის მეზობლებს შორის, ყველაზე კარგად ხედავს ყველაფერს. ამიტომ, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ჩვენი ამასწინანდელი „დიალოგი“ მასთან.

— „ხევის პატარძალო“, იქ, სადაც მთებია, მამაცი მთამსვლელებიც მრავლად იქნებიან. აბა, ის რა მთის კაცია, ვისაც სპეტაკი მწვერვალებისკენ არ მიუწევს გული. ჰოდა, ყაზბეგელებს რომ ჰკითხოთ, ყველა აქაური აკვნიდან მთამსვლელია. მოდი, ჩვენც შენი სიმაღლიდან დაგვანახვე ყაზბეგელი „მთის კაცები“, გვითხარი, რანი იყვნენ და რანი არიან. რა კეთდება სპორტის ამ მართლაც რაინდული სახეობის განვითარება-წინსვლისთვის.

— ალბათ გეცოდინებათ, საბჭოთა მთამსვლელობის პირველი მერცხლები სწორედ ჩემი მკერდიდან აფრინდნენ. ეს 1928 წელს მოხდა, როცა პროფესორ გიორგი ნიკოლაძის 18-კაციანმა ჯგუფმა დამიპყრო. იმ ექსპედიციას ყაზბეგელი ახალგაზრდებიც ეხმარებოდნენ. შემდეგ მათ სახელი გაითქვეს, როგორც დიდებულმა მთამსვლელებმა. ესენი იყვნენ იაგორ კაზალიკაშვილი, ვახტანგ და ნიკო ქირიკაშვილები, ლევან სუჯაშვილი, ვახტანგ ფიცხელაური, ვასო ხაიკაშვილი... ჩემს თანამოძმეებთან ჰიდილში მათი გმირობის ამბავი სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა და ასე შემოივლიდა მთელს დუნიას.

მაშინ, 1936-39 წლებში, ჩემი ერთ-ერთი ყინვარის — დევდორაკის მახლობლად ალპინისტური ბანაკიც კი იყო მოწყობილი.

დღეს კი... არც ბანაკია და მოხევეებიც მხოლოდ წარსული დიდების მოგონებით ცხოვრობენ. ეს გულს მიკლავს. და, როცა სევდა დაისადგურებს ჩემს გულში, უმალ სახე მეცვლება, ხქელი ნისლის საბურველსა და ტყვიისფერ ღრუბლებში ვეხვევი. აბა, რა გუნებაზე დავდგები, როდესაც ჩემი ხევის შვილებს ჩავხედავ და სასიკეთოს ვერაფერს დავინახავ? ერთადერთი ზურაბ ქირიკაშვილი მეგულება საიმედოდ. ამას წინათ ის საქართველოს ალპიური კლუბის მიერ შექმნილ სამთო-სამაშველო რაზმს ჩაუდგა სათავეში. მაგრამ, ღმერთი რომ გაწყრეს და რთულ პირობებში ვინმეს ამ რაზმის დახმარება დასჭირდეს, ზურაბის განკარგულებაში მხოლოდ მესამეთანრიგოსანი მთამსვლელები იქნებიან.

— ნუთუ ყაზბეგელი მთამსვლელები მართლა ასე გულხელდაკრეფილი სხედან?

— არა, დროგამოშვებით ალპინიადებსაც აწყობენ ან თბილისიდან ჩამოსულ მთამსვლელებს შეუერთდებიან ხოლმე. მაგრამ ეს ალპინიადები, როგორც წესი, იოლად დასამორჩილებელ მწვერვალებზე ტარდება. შემდგომი დაოსტატებისთვის კი ალპინისტური ბანაკია საჭირო, სადაც ნიჭიერ სპორტსმენებს გამოცდილი ინსტრუქტორები დაეხმარებიან ფრთების გაშლაში. იშვიათად, რომ ყაზბეგელი მთამსვლელები სვანეთში ალპინისტურ ბანაკ „აილამას“ ესტუმრონ. ეს ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, მაგრამ სხვა გამოსავალი არ ჩანს.

— განა ყაზბეგში ერთი უბრალო ბანაკის მოწყობა მაინც არ შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება, თუნდაც აი, აქ, ჩემი ფერდობების ძირში, გერგეტის ყინვარზე, მეტეოსადგურში, 3657 მეტრ სიმაღლეზე. აქ ბევრი კლდოვანი ბასტიონი და ყინვარია ისეთი, სადაც მეორეთანრიგოსნების მომზადება შეიძლება. დავასახელოთ ჯიმარა (4710 მ), მაილი (4601 მ), ორწვერი (4150 მ), სპარტაკი (4500 მ). მეც გამოვდგებოდი ამ საქმისთვის. ჩემი სიმაღლე 5048 მეტრია, დაპყრობის სირთულე პირველიდან მეოთხე კატეგორიამდე განისაზღვრება, მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ ჩემს კალთებზე ჯერ კიდევ მრავლადაა გაუვლელი მარშრუტები. იქნებ მეტეოსადგური არ მოგწონთ? მაშინ ხდის ხეობა ინებეთ. დიდებული ადგილია. ტყიანი ფერდობები, პატარა, მაგრამ ბობოქარი მდინარე ხდე, რომლის სათავეებთანაც ჭალარა მწვერვალებია აღმართული. ეს ხეობა უამრავ ტურისტსა და მთამსვლელს იზიდავს...

... ალიოშა ჯაფარიძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ბორის ძნელაძე, გორი, რუსთავი, შინო, შანი, ყურო, ყველას რა ჩამოთვლის. აირჩიე, სულო და გულო! ამ მწვერვალებზე თავისუფლად შეიძლება პირველთანრიგოსანი მთამსვლელების მომზადება.

ხდის ხეობის დასაწყისში, იქ, სადაც ხდე შმაგ თერგს უერთდება, ორი შენობა დგას. უფრო სწორად, იდგა, რადგან ერთ-ერთი, ელექტროსადგურის შენობა, გაძარცვეს — აღარც ჭერი აქვს, აღარც კარი, არც ფანჯრები და იატაკი. კედლებიღაა დარჩენილი. იგი დიდ დახმარებას უწევდა თბილისიდან თუ საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ მთამსვლელებსა და ტურისტებს.

მადლობა ღმერთს, მეორე შენობა ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ალპიური კლუბის საკუთრება გახდა. ერთი ასეთი მარტივი ტიპის შენობა ცოტა ზემოთაც რომ აიგოს, მაშინ აქ მართლაც კარგი ალპინისტური ბანაკი მოეწყობა.

რა თქმა უნდა, კარგად ვიცი, რომ ასეთი ბანაკის მოწყობა ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, მაგრამ ქართული სპორტის, კერძოდ კი მთამსვლელობის განვითარებისთვის ზრუნვა ყველა თქვენგანის ვალია. ამ საქმეს ყველამ ხელი უნდა შეუწყოს.

— მეკლდეურობას ხომ ბანაკი არ სჭირდება? ასეთი კლდეების პატრონებს ამ სახეობაში კაცი ვერ უნდა სჯობდეთ.

— მართალს ბრძანებთ. მეკლდეურობა მართლაც კარგად უნდა იყოს განვითარებული. გაზაფხულის დამლევს ყაზბეგში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდა. როგორც „ლელოს“ ფურცლებზე დაიწერა, იმ შეჯიბრებაში ყაზბეგელმა მეკლდეურებმა ბოლო ადგილი დაიკავეს. თუმცა, მეკლდეურები სად გვყავდა! გუნდის წევრები სპორტის სულ სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ სულ არაობას ისევ მათს იმედად დარჩენა ამჯობინეს. ბაგრატ ბულაშვილს, მაგალითად, მეკლდეურობასთან კი არა, საერთოდ სპორტთანაც არავითარი კავშირი არ ჰქონია. მან დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მიიღო შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება და... პერსპექტიული მეკლდეურისთვის განკუთვნილი პრიზიც დაისაკუთრა. ამ ამბავს იმიტომ ვიხსენებ, რომ ყაზბეგში არის ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელსაც ყურადღება და პატრონობა სჭირდება.

— მაინც, რა უშლის ხელს მეკლდეურობის განვითარებას?

— გაგეცინებათ, რომ გითხრათ: თოკები ვერ უშოვიათ. ვერც მონდომებით დაიტრაბახებენ.

— მყინვარწვერო, მეკლდეურთა რესპუბლიკური ჩემპიონატის დღეებში ყაზბეგის მესვეურებს აშკარად ეტყობოდათ ამ სახეობით დაინტერესება. ყოველდღე ესწრებოდნენ შეჯიბრებებს, ესაუბრებოდნენ მწვრთნელებს, სპორტსმენებს...

— დიახ, ყაზბეგის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ელგუჯა კავკასიძე ძველი მთამსვლელი და ტურიზმში სპორტის ოსტატია. მისი დიდი იმედი მაქვს. ვფიქრობ, ყოველმხრივ შეუწყობს ხელს თავისი საყვარელი სახეობების აღორძინებას.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ყაზბეგი.



მწვერვალი რუსთავი. ავტორის ფოტო.

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

#### ჩემპიონატის ქრონიკა

9 აგვისტოს მოსკოვში გაიმართა ჩემპიონატის მორიგი მატჩი, ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ცსკა.

ანგარიში მე-9 წუთზე გახსნა დინამოელმა ევრიუჟიხინმა. ეს გოლი 21-ე წუთზე გაქვითა სმირნოვმა, ხოლო 79-ე წუთზე ფედოტოვმა გაიტანა გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ცსკა-ს — 2:1. აღსანიშნავია, რომ ეს არმიელთა პირველი გამარჯვებაა... ბოლო 8 თვის მანძილზე.

#### უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (კ.) | 17 | 9 | 7 | 1 | 27—10 | 25 |
| „ჩერნ.“ | 17 | 7 | 7 | 3 | 27—21 | 21 |
| „ზენიტი“ | 17 | 5 | 11 | 1 | 19—18 | 21 |
| „დნეპრი“ | 17 | 6 | 7 | 4 | 17—15 | 19 |
| „სპარტ.“ | 17 | 6 | 7 | 4 | 17—15 | 19 |
| „არარატი“ | 17 | 6 | 6 | 5 | 20—16 | 18 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 17 | 5 | 8 | 4 | 21—19 | 18 |
| „ტორპედო“ | 17 | 6 | 6 | 5 | 18—17 | 18 |
| „ქაირათი“ | 17 | 4 | 8 | 5 | 24—23 | 16 |
| „ფახთაქ.“ | 17 | 5 | 6 | 6 | 24—26 | 16 |
| „შახტიორი“ | 17 | 4 | 8 | 5 | 16—18 | 16 |
| ცსკა | 17 | 4 | 7 | 6 | 21—24 | 15 |
| „დინამო“ (თბილისი) | 17 | 3 | 8 | 6 | 14—22 | 14 |
| „ზარია“ | 17 | 3 | 6 | 8 | 20—25 | 12 |
| „კარპატი“ | 17 | 2 | 8 | 7 | 12—19 | 12 |
| „ნისტრუ“ | 17 | 3 | 6 | 8 | 24—33 | 12 |

## ცსკა-ს ორი წაგება

მოსკოვის „დინამოსთან“ გუშინწინდელ მატჩამდე ცსკა-მ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბანსკა-ბისტრიცაში გაიმართა. შეჯიბრების პირველ დღეს მოსკოველებმა წააგეს შეხვედრა პრაღის „დუკლასთან“ — 2:3 (0:2). მერე ცსკა გდრ-ის „ფორვერტსს“ ეთამაშა და ისევ დამარცხდა, „ტრადიციული“ ანგარიშით — 2:3.

## ჩემპიონატები, ფაქტები, ლიდერები

### საბერძნეთი

ჩემპიონის წოდება მოიპოვა პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“, რომელმაც ქულით გაუსწრო შარშანდელ ჩემპიონს — ათენის „პანათინაიკოსს“.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია „პანათინაიკოსისა“ და ეროვნული ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ანტონიადისი, რომელმაც 26 ბურთი გაიტანა.

### პორტა გადადგა

**ურუგვაის** ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ნაკრებთან აღარ იმუშავებს მწვრთნელი რ. პორტა.

მისი საქმიანობა მიმდინარე სეზონში არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

### 62 წლის ამერიკო

**ბრაზილიელთა** ცნობილ მასაჟისტს ამერიკოს წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში 62 წელი შეუსრულდა. იგი 30 წლის მანძილზე მუშაობდა ამ გუნდში, ახლა კი ნაკრებს ტოვებს და რიო-დე-ჟანეიროში რესტორანს ხსნის.

### ისევ ნეცერის შესახებ

**გამოჩენილ** ნახევარმცველ გ. ნეცერს მსოფლიო ჩემპიონატში თითქმის არ მოუხდა თამაში, თუმცა სხვა დასავლეთგერმანელ ფეხბურთელებთან ერთად მიიღო ოქროს მედალი.

აი, რა განაცხადა გფრ-ის ნაკრების კაპიტანმა ფ. ბეკენბაუერმა ნეცერის შესახებ:

— იგი ახლა ძალიან კარგად თამაშობს, მაგრამ მინდორზე რომ გამოგვეყვანა, ყველა დანარჩენ ფეხბურთელს უნდა შეეცვალა თამაშის მანერა, ჩვენ კი ეს არ შეგვეძლო.

### ლიუბანსკის უკანასკნელი ცდა

**როგორც** ვარშავის გაზეთი „პშეგლონდ სპორტოვი“ იუწყება, გამოჩენილმა პოლონელმა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ვ. ლიუბანსკიმ ხელმეორედ გაიკეთა მუხლის რთული ოპერაცია.

მან კორესპონდენტებს განუცხადა, რომ შემოდგომაზე ერთხელ კიდევ შეეცდება ითამაშოს ეროვნულ პირველობაში „გურნიკის“ (ზაბჟე) შემადგენლობაში, თუმცა ეს ცდა შეიძლება უშედეგო გამოდგეს.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ხაშური

რაიონის სასკოლო პირველობა ფეხბურთში დამთავრდა ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენელთა გამარჯვებით. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ სურამის 1-ლი და ხაშურის მე-3 საშუალო სკოლების გუნდები.

* * *

დამთავრდა საკოლმეურნეო შეჯიბრება ფეხბურთში „ოქროს თავთავის" თასზე. გამარჯვება ხვდა ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობის გუნდს.

* * *

ბავშვთა სპორტსკოლაში მოეწყო სარაიონო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ყველას აჯობეს საგალანტერეო ფაბრიკის წარმომადგენლებმა, რომლებმაც გაუსწრეს მომდევნო საპრიზო ადგილებზე გასულთ — „ლოკომოტივის" რაიონული კვანძისა და „სპარტაკის" საბჭოს გუნდებს.

* * *

ნაყოფიერად მუშაობს კლდისწყაროს სასოფლო კლუბთან არსებული საჭადრაკო წრე. ახლახან აქ მოეწყო ტურნირი, სადაც ვაჟთა შორის გაიმარჯვა ზ. გელაშვილმა, ხოლო ქალებში — ე. გაფრინდაშვილმა.

ზ. მოსიაშვილი.



ველომრბოლელები. მ. თათარიშვილის ფოტო.

## ახალი ამბავი —74

● ვაილე, 9 აგვისტო. შვეციის ამ ქალაქის მახლობლად მდებარე „ვინსტედცენტრში" 23 ქვეყნის 200-ზე მეტი ტყვიის მსროლელი სამ დღეს ასპარეზობდა ევროპის ჩემპიონატში. სარბიელზე გამოვიდნენ ქალები და იუნიორები. დიდ წარმატებას მიაღწიეს საბჭოთა სპორტსმენებმა: შეჯიბრების თოთხმეტივე მონაწილე შინ პრიზებით ბრუნდება. მათი ნადავლია 6 ოქროს, 5 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი. ამავე დროს საბჭოთა მსროლელებმა მსოფლიოს ორი და ევროპის ოთხი რეკორდი დაამყარეს და საერთო გუნდურ ჩათვლაშიც აჯობეს ყველას — 84 ქულა. II ადგილზე გავიდა პოლონეთის ნაკრები — 40 ქულა (1 ოქროს, 1 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი). III ადგილზეა შვეციის გუნდი — 32 ქულა (1 ოქროს, 2-2 ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი).

● მოსკოვი, 9 აგვისტო. დღეს საღამოს დედაქალაქის დაცვის გმირთა ძეგლთან, ლენინგრადის გზატკეცილის 23-ე კილომეტრზე, ფინიშის ხაზი გადაკვეთა ათმა ათლეტმა, რომელთაც თეთრ მაისურებზე ეწერათ: „მეხუთე ზემარათონი, ლენინგრადი — მოსკოვი". ათ დღეში მორბენლებმა 695 კმ დაფარეს. მარშრუტი ამჯერად ოც ეტაპად იყო დაყოფილი — დღეში ორი ეტაპი. დროის საუკეთესო ჯამი — 60:21.48 — აღმოაჩნდა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, 43 წლის ს. კორიკოვს. მას ოდნავ ჩამორჩნენ გადარბენის უხუცესი მონაწილე, ზემარათონელთა გუნდის კაპიტანი, ლენინგრადის ელექტროტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის მასწავლებელი 51 წლის ო. ლოსი და ყველაზე ახალგაზრდა მორბენალი, 24 წლის გ. ჟევნეროვი. გადარბენა ლენინგრადელებმა ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიუძღვნეს.

● მანილა, 9 აგვისტო. ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის შესარჩევი ეტაპის 6 ტურის შემდეგ ლიდერობენ ინგლისელი მაილსი და შვედი შნაიდერი — 4,5-4,5 ქულა. 4-4 ქულა აქვთ ლენინგრადელ კოჩიევს, უინსტონს (აშშ), გიარდელის (არგენტინა), მარიანოვიჩს (იუგოსლავია), დიექსას (ჰოლანდია), მაკს (გფრ) და ხენაოს (კოლუმბია). დებულების თანახმად, მთავარ ფინალში წინასწარი შეჯიბრების ათი საუკეთესო მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას. V ტურში კოჩიევმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მაილსთან. მეტოქეებმა თავიანთ ასაკთან შედარებით ყოვლად შეუფერებელი „მშვიდობისმოყვარეობა" გამოიჩინეს — სულ 7-7 სვლა გააკეთეს. კოჩიევს VI ტურმაც ნახევარი ქულა მოუტანა (ყაიმი მაკთან მე-10 სვლაზე). არც სხვა მონაწილეებს მოუკლავთ აქტიურობით თავი — უამრავი ყაიმი იყო. 11 აგვისტოს გაიმართება შესარჩევი შეჯიბრების ბოლო ტური.

## ახალი ამბავი-74



„თავის ადგილზე... ბურთი"

## ობიექტივის მსოფლიო



### „თავი დაკარგა"

ამ ფოტოსურათების ავტორებმა თავიანთ ნამუშევრებს თითქმის ერთნაირი სახელწოდებები წააწერეს: „თავის ადგილზე... ბურთი" (ქვევით) და „თავი დაკარგა".

მართლაც, საოცარ მომენტებში აღბეჭდა ფოტოობიექტივის თვალმა საფეხბურთო მატჩების მომენტები. ცხადია, ათასჯერაც რომ სცადო, ამგვარი მომენტების „დაჭერას" ვერ შეძლებ...

ასეა თუ ისე, ეს ეპიზოდები ხომ მართლაც მოხდა!

ცაფ-ის ფოტოები.

### [illegible] გამოაცოცხლეს...

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში თავიანთი ქვეყნის ნაკრების წარუმატებელი გამოსვლით განაწყენებულმა ბრაზილიელმა გულშემატკივრებმა გრიპის ეპიდემიას უწოდეს გუნდის მწვრთნელის ზაგალოს სახელი.

ახლა გულშემატკივრები ამბობენ, შევცდითო, გრიპი უტევს, ზაგალო კი მხოლოდ დაცვაზე ფიქრობსო.

მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებმა ეს შეცდომა გამოასწორეს. მათ ზაგალოს სახელი უწოდეს... შუქნიშნების პირველ რიგს, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ ბრაზილიის ქუჩებში დგას.

ეს შუქნიშნები, ისევე როგორც ზაგალო, მხოლოდ ამუხრუჭებენ, აფერხებენ მოძრაობასო, — ამბობენ გულშემატკივრები. (საკდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი)

13 აგვისტოს
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

14 აგვისტოს
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს. და 30 წთ.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება ორგანიზაციებში და აბონემენტებზე 13 აგვისტოს, საერთო გაყიდვა — 14 აგვისტოს, 10 საათიდან.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 93-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მეშანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.